

✓ სოციალური მეწარმეობა საქართველოში

- ❖ საქართველოში სოციალური საწარმოების რიცხვი იზრდება
- ❖ სოციალური მეწარმეობა - ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ახალი პროგრამული პრიორიტეტი
- ❖ „პომუსი“ სიღნაღის არტ-კაფე „ქედელში“

✓ სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები

- ❖ სოციალური მეწარმეობის მსოფლიო ფორუმი 2013!
- ❖ Toyota Motor and Nissan Motor სოციალური ბიზნესით დაინტერესდნენ
- ❖ პროფესორი მუჰამედ იუნუსი 2013 წლის ბიზნეს მოაზროვნეებს შორის დასახელდა

სოციალური მეწარმეობა საქართველოში

❖ საქართველოში სოციალური საწარმოების რიცხვი იზრდება

ბიზნესის ახალი მიმართულებით წარმართვის მსოფლიო ტენდენცია საქართველოშიც იკიდებს ფეხს და სოციალური საწარმოების რიცხვი სწრაფი ტემპებით განაგრძობს ზრდას. 2013 წელს ამოქმედდა რამდენიმე სოციალური საწარმო. თითოეული მათგანი განსხვავებული პრობლემის მოგვარებას ემსახურება.

✓ სოციალური საწარმო „აგროდილერი“

ფონდმა „აფხაზინტერკონტი“ 2013 წლის დასაწყისში, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის მხარდაჭერით, ქუთაისში აამოქმედა სოციალური საწარმო, სათბური „აგროდილერი.“ პროექტი მიზნად ისახავს შეჭირვებული მოსახლეობის იმ ნაწილის დასაქმებას, რომელსაც აქვს სურვილი გაიუმჯობესოს არსებული ეკონომიური მდგომარეობა და არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფო შემწეობაზე. ყოველწლიურად 2 ახალ ოჯახს, რომლებიც შეირჩევიან წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, შეასწავლიან აგროტექნოლოგიებს და წლის ბოლოს მათ საკუთარ მიწებზე მოუწყობენ მცირე სასათბურე მეურნეობებს. ამ სასათბურე მეურნეობის მოწყობა შესაძლებელი იქნება წლის განმავლობაში მოსავლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებით. ამ გზით მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ეძლევა ახალი შესაძლებლობა თავი დააღწიოს სიღარიბეს.



✓ **სოციალური საწარმოო კაფე „დოქტორ ჰაუსი“**

„ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა საერთაშორისო ასოციაციის“ მიერ მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ტერიტორიაზე აგვისტოში გაიხსნა სოციალური საწარმოო კაფე „დოქტორს ჰაუსი.“ შემოსული თანხა სრულად მოხმარდება „მშობელთა სახლის“ ექსპლუატაციას. „მშობელთა სახლი“ 2010 წელს ჩეხეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საქველმოქმედო ორგანიზაციების მხარდაჭერით აშენდა. ცენტრი ემსახურება რეგიონებიდან ჩამოსული ლეიკემიით დაავადებული ბავშვების მშობლებს. ეს ბავშვები ხანგრძლივ სტაციონარულ მკურნალობას საჭიროებენ და ეს სახლი მშობლებისათვის მათ სიახლოვეს ყოფნის კარგი შესაძლებლობაა. კაფე „დოქტორ ჰაუსის“ გახსნას ბევრი საპატიო სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის: თბილისის ვიცე-მერი სევდია უგრეხელიძე და ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩი ივან იესტრჟაბი.



✓ **სოციალური საწარმო „რეას ციყვები“**



ქალთა კავშირმა „რეა“ ივლისში მოაწყო სოციალური საწარმო - კაფე-გალერეა პრეზენტაცია. კაფე - „რეას ციყვები“ თბილისში, ჭონქაძის ქუჩა 29-შია განთავსებული. კაფეში თბილისის საინტეგრაციო ცენტრის რამდენიმე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდა და მათი მშობლებიც იქნებიან დასაქმებული. კაფე-გალერეაში გამოფენილი იქნება ამ ახალგაზრდების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთები.





აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის სოციალური საწარმო პირველად იხსნება დედაქალაქში და მისი ბიზნეს გეგმის შემუშავებაში ორგანიზაციას მნიშვნელოვნად დახმარა სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი. კაფე-გალერეა „სტარტს იღებს“ ავსტრიის დიაკონიის მხარდაჭერილი პროექტით. „რეას“ ახალგაზრდებს დიდი იმედი აქვთ, რომ კაფე სულ მალე თბილისელების საყვარელი ადგილი გახდება. ეწვიეთ „რეას ციყვებს“ და დრო გაატარეთ სასიამოვნო გარემოში.



✓ სოციალური საწარმო გორში

USAID-ის დაფინანსებით „ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში გაცემული გრანტით, „ასოციაცია ინვალიდთა კლუბმა“ გორში სოციალური საწარმო აამოქმედა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველი ქალბატონები 2 თვის განმავლობაში შეისწავლიან ჭრა-კერვას, ხოლო სწავლის დასრულებისთანავე საწარმოში დასაქმდებიან. სოციალური საწარმოს მიზანია ხელი შეუწყოს დასაქმებული ქალბატონების საზოგადოებაში დამკვიდრებას და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

❖ სოციალური მეწარმეობა - ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ახალი პროგრამული პრიორიტეტი

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი ყოველწლიურად აცხადებს საგრანტო კონკურსებს ახალგაზრდული ორგანიზაციების მხარდასაჭერად კონკრეტული პროგრამული პრიორიტეტების შესაბამისად.

2013 წლის მეორე საგრანტო კონკურსის ფარგლებში ფონდის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით კონკურსს დაემატა ახალი პროგრამული პრიორიტეტი - სოციალური მეწარმეობა.

სოციალური მეწარმეობა - ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომლის გასავითარებლად ფონდი აქტიურად გეგმავს მუშაობის გაგრძელებას სამომავლოდ. ვინაიდან, ეს პროგრამა ხელს უწყობს გრძელვადიანი და სარგებელზე ორიენტირებული პროექტების განხორციელებას, სამოქალაქო სექტორის გაძლიერებას და მდგრად განვითარებას. აღნიშნული პროგრამული პრიორიტეტის ფარგლებში, ამ ეტაპზე დაფინანსებულია ორი პროექტი:

✓ კალიგრაფიის სოციალური სახელოსნო

პროექტს ახორციელებს ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია „თაბონი“

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ქართული ხელით წერის კულტურის - ქართული კალიგრაფიის, როგორც ხელოვნების დარგის აღორძინებას, კალიგრაფიისა და სამფეროვანი ქართული ანბანის პოპულარიზაციას და კალიგრაფიის სოციალური სახელოსნოს შექმნას, სადაც ახალგაზრდა კალიგრაფები დაინტერესებულ საზოგადოებას ლამაზად წერას შეასწავლიან, ხოლო ტურისტებისა და სხვა პირებისთვის ხელნაკეთ სუვენირებს შექმნიან - უნიკალური ქართული კალიგრაფიის გამოყენებით.



პროექტი გრძელდება დეკემბრამდე და ამ პერიოდში მოხდება კალიგრაფიის უფასო სწავლება, შეიქმნება დაინტერესებულ პირთა კლასები, საზოგადოებრივი ჯგუფები და ასევე სოციალური სახელოსნოს არსებობის მანძილზე გაყიდული სუვენირებიდან შემოსული თანხა საქველმოქმედო მიზნით, ყოველთვიურად გადაერიცხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლს.



✓ ახალგაზრდები მდგრადი აგრარული და გარემოსდაცვითი განვითარებისათვის

პროექტს ახორციელებს "სტუდენტური საერთაშორისო ინიციატივა"

პროექტის დასრულებისას მარნეულის რაიონში ახალგაზრდა მოხალისეების დახმარებით დაინერგება პალმეტური მეთოდით მრავალწლიანი კულტურების მოყვანისა და განვითარების პრაქტიკა. პროექტის მიზანია მარნეულში წახალისოს და ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს შორის მოხალისეობის კულტურის დამკვიდრებას, სოფლის მეურნეობის მეხილეობის სფეროს მდგრადი განვითარების პროცესში მათი შესაძლებლობების გაფართოებისა და ფართოდ წარმოჩენის მეშვეობით და განავითაროს ახალგაზრდების ცოდნა და უნარები ისეთ საკითებთან მიმართებაში როგორებიცაა გარემოს დაცვა, ეკოლოგია და საზოგადოებრივი ჯანმრთელობა. პროექტის ფარგლებში გაშენებულ ხეხილის ბაღში სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები დასაქმდებიან.

❖ „პოემუსი“ სიღნაღის არტ-კაფე „ქედელში“

30 ივლისს არტ-კაფე „ქედელში" დაიწყო და შემდეგ სიღნაღის თეატრში გადაინაცვლა პოეზიისა და მუსიკის ფესტივალმა „პოემუსმა". პოეზიისა და მუსიკის ფესტივალის საქველმოქმედო ხასიათისა და სიღნაღში გამართული ღონისძიების მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაცია. არტ-კაფე „ქედელი" თემი „ქედელის" სოციალური საწარმოა, სადაც მათი ბენეფიციარებიც არიან დასაქმებული და სწორედ ამ ადამიანებისთვის, როგორც თავად აღნიშნავენ, ლამაზი და დაუვიწყარი იყო ფესტივალის მონაწილე პოეტებთან და მუსიკოსებთან გატარებული ერთი დღე.

სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები



❖ სოციალური მეწარმეობის მსოფლიო ფორუმი 2013

სოციალური მეწარმეობის მსოფლიო ფორუმი ყოველ წელს სხვადასხვა ქვეყანაში ეწყობა. 2013 წლის მასპინძელ ქვეყანად არჩეულ იქნა Calgary, Alberta, Canada. ფორუმი უმასპინძლებს 1200 მონაწილეს 30-ზე მეტი ქვეყნიდან და სიტყვით გამომსვლელებს 20-ზე მეტი ქვეყნიდან. ფორუმის მონაწილეები იქნებიან განსხვავებული სფეროს წარმომადგენლები, მ.შ.: სოციალური მეწარმეობის პრაქტიკოსები სხვადასხვა სექტორებიდან, არასამეწარმეო იურიდიული პირები, მოგებაზე ორიენტირებული ბიზნესის წარმომადგენლები, ფილანტროპები, საჯარო სექტორის წარმომადგენლები, მხარდამჭერი სააგენტოები, დამფინანსებლები და ინვესტორები, კონსულტანტები, სტუდენტები, თუმცა ყველა მათგანს აერთიანებს სურვილი გადაჭრან მსოფლიოს ყველაზე რთული და კომპლექსური სოციალური პრობლემები.

ყველა დელეგატის მიერ ფორუმში მონაწილეობისთვის გადახდილი გადასახადის გარკვეული ნაწილი აგრეგირდება სპეციალურ ფონდში 20 000\$-ის შესაგროვებლად. ეს თითოეულ მონაწილეს აქცევს „სოციალურ ინვესტორად“. ფულადი პრიზის მთავარი მიზანია დაეხმაროს ისეთ სოციალურ საწარმოს, რომელსაც ესაჭიროება ფულადი სახსრები საქმიანობის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად. გამარჯვებული სოციალური საწარმო გამოვლინდება სპეციალურად ორგანიზებული კონკურსის საფუძველზე.

❖ Toyota Motor and Nissan Motor სოციალური ბიზნესით დაინტერესდნენ

იაპონურმა საავტომობილო გიგანტებმა გამოთქვეს სოციალური ბიზნესის წამოწყების დიდი სურვილი. 27 ივლისს შედგა შეხვედრა Nobuyori Kodaira, ტოიოტას აღმასრულებელ ვიცე პრეზიდენტსა და პროფესორ Muhammad Yunus შორის. შეხვედრის დროს განიხილეს ტოიოტას მონაწილეობა სოციალურ ბიზნესში.



❖ პროფესორი მუჰამედ იუნუსი 2013 წლის ბიზნეს მოაზროვნეებს შორის დასახელდა

The Wall Street Journal-ის მიერ ნობელის პრემიის ლაურეატი, პროფესორი Muhammad Yunus (მცირე სესხების გაცემის და სოციალური ბიზნესის პიონერი) დასახელდა 2013 წლის ერთ-ერთ გავლენიან ბიზნეს მოაზროვნედ. სიას სათავეში უდგანან: Paul Krugman, Joseph Stiglitz, Michael Porter და Robert Reich.

აღნიშნულმა სიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა 2008 წლის სიასთან მიმართებაში და პროფესორ Muhammad Yunus-ის გამოჩენა ცნობილ ბიზნეს მოაზროვნეებს შორის მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მსოფლიო მზად არის გადავიდეს ბიზნესის ახალი მიმართულებებით წარმართვის სისტემაზე.

❖ თუ თქვენ აღარ გსურთ მიიღოთ სოციალური მეწარმეობის ელექტრონული ჟურნალის შემდეგი გამოცემები, გამოაგზავნეთ ტექსტი - "გამოწერის გაუქმება" შემდეგ მისამართზე: info@cse.ge



დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით www.cse.ge

ყველა საავტორო უფლება დაცულია და ეკუთვნის "საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრს"



“ღია საზოგადოება - საქართველო”



”ეკლესიის განვითარების სააგენტო”